სეზონის საუკეთესო

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 5 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "ჩერნომორეცი" (ოდესა) 3:0 (2:0).

"დინამო": კუცია, ჟიბა, ჩივაძე, კერესელიძე, ჯოხაძე (გურული), კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, ცაავა, შენგელია (ბარათაშვილი).

"ჩერნომორეცი": ჩისტოვი, სოკოლოვსკი, ლეშჩუკი, იშჩაკი, პლოსკინა, სკრიპნიკი (ფსომიადი), პასულკო, სახნო (ბელანოვი), ჟარკოვი, შრიი, რომანენკო.

მსაჯი: ვ. ჟუკი (მინსკი).

გააფრთხილეს რომანენკო და შრიი.

დუბლიორები 2:0. ბურთები გაიტანეს ჟორჟიკაშვილმა და გოგრიჭიანმა.

ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს მთელი მატჩის განმავლობაში ფაქტიურად ერთადერთხელ, შეხვედრის მე-20 წუთზე მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა - შარიას დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. სტუმრებმა ყველაფერი იღონეს - გულმოდგინედ დარაჯობდნენ მასპინძელთა ფორვარდებს, მინდვრის შუაგულშიც სცადეს უპირატესობის მოპოვება, კონტრშეტევებსაც მიმართეს, მერე არც არასაფეხბურთო ილეთებს მოერიდნენ, მაგრამ იმ დღეს მართლაც მშვენივრად მოთამაშე თბილისელთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და სავსებით კანონზომიერად დამარცხდნენ დიდი ანგარიშით. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ყოველგვარ საფეხბურთო ლოგიკას იყო მოკლებული სტილი, რომელიც "ჩერნომორეცმა" გამოიყენა შეხვედრის საკმაოდ დიდ მონაკვეთში, განსაკუთრებით ინტენსიურად კი მატჩის მიწურულს, იმ დროს, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. უხეშობას, ბინძურ თამაშს გამართლება საერთოდ არა აქვს, მაგრამ თუ ქულის გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს, თუ ფაქტიურად აღარაფრისაგან იცავ თავს, გაუმართლებელია მხოლოდ საკუთარ განწყობილებას გაუწიო ანგარიში და მოურიდებლად ასახიჩრო მეტოქე. სწორედ ასე მოიქცნენ ჩვენი სტუმრები და ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ მაინცდამაინც იშვიათი ხილი არ არის ჩვენს ფეხბურთში. მკითხველს უთუოდ ექნება შემჩნეული: საკმარისია "დინამომ" კარგად დაიწყოს თამაში, რომ კოჭებისა და წვივების მტვრევა მაშინვე გახშირდეს. მტკიცება არ უნდა იმას, რომ მეტოქის ორჯერ გაფრთხილება ერთობ მცირე კომპენსაციაა გუნდისთვის, რომლის შემადგენლობა ტრავმირებული ფეხბურთელებით ივსება. აი, ამ თვალსაზრისით საყვედური ეთქმის შეხვედრის არბიტრს ვ. ჟუკს, რომელსაც ნამდვილად შეეძლო დროზე აღეკვეთა ეს უმსგავსობა, და რომელმაც საერთოდ ურიგოდ არ იმსაჯა მატჩი.

თამაშის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ ცაავა-ჩქარეული-კაკილაშვილის კომბინაცია ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა - 1:0.

მატჩის დასაწყისშივე გატანილ გოლს ხშირად მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ხოლმე, კერძოდ, ასეთი აზრი გამოთქვა სტუმრების მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, პირველმა ბურთმა თითქოს ფრთები შეასხა თბილისელებს, ოდესელებზე კი უარყოფითად იმოქმედა. იქნებ საკამათოდ არც ღირდეს, მაგრამ არც თუ იშვიათად პირიქითაც ხდება - დაწინაურებული გუნდი ნაკლებ აგრესიულად, უფრო ფრთხილად, ხშირად მეტისმეტად ფრთხილადაც კი თამაშობს და ისჯება კიდეც ამისათვის. პირველი 10-15 წუთი რაღაც ამისმაგვარი იგრძნობოდა თბილისელთა მოქმედებაში. საბედნიეროდ, მასპინძლებმა დროულად აიღეს ხელი ერთი გოლის შენარჩუნების თუ არა, ფრთხილად თამაშის ტაქტიკაზე და იერიშზე გადავიდნენ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა - მინდვრის ნებისმიერ წერტილში აშკარად იგრძნობოდა დინამოელთა უპირატესობა.

მე-14 წუთზე ორი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს სვანაძე-კაკილაშვილმა და ცაავა-შენგელიამ. პირველ შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე ჩისტოვმა. და საერთოდ, ოდესელთა გოლკიპერმა ამ მატჩში იმდენი ძნელი ბურთი აიღო, რომ მწვრთნელის ქებაც კი დაიმსახურა.

25-ე წუთიდან მოყოლებული ტაიმის ბოლომდე "ჩერნომორეცი" იძულებული იყო შეხვედრის დასაწყისში გაშვებული გოლი დაევიწყებინა და მხოლოდ მეტოქის მოგერიებაზე ეფიქრა.

მცველები უხეშად ეთამაშებიან შენგელიას. ჯარიმა. ჩივაძის უძლიერესი დარტყმა ძლივს აიღო მეკარემ. 28-ე წუთზე კერესელიძე-შენგელია-ჩქარეულის კომბინაციის შემდეგ ისევ მეკარემ იყოჩაღა. 35-ე წუთზე ჩისტოვს ისევ დასჭირდა ოსტატობის ჩვენება - შენგელიას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა მშვენივრად შეასრულა ცაავამ. 42-ე წუთზე სტუმრები მაინც ვერ გადაურჩნენ გოლს - ჩქარეული-კაკილაშვილი-შენგელია. დინამოელი ფორვარდის საბოლოო დარტყმა უნაკლო იყო - 2:0. შენგელიას უვნებელყოფის მცდელობა უშედეგო გამოდგა - ვერც სკრიპნიკმა (შუა ტაიმში ტრავმა მიიღო) და ვერც რომანენკომ ამოცანა ვერ შეასრულეს. რა თქმა უნდა, კარგად თამაშობდა თბილისელთა

ცენტრალური თავდამსხმელი, მაგრამ ეს ყველაფერი საერთოდ მთელი გუნდის, კოლექტიური თამაშის დამსახურება უფრო იყო.

მეორე ტაიმი ბევრით არ განსხვავდებოდა პირველისაგან. "დინამო" ყველა უბანზე, ყველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდა მეტოქეს. ძალზე ლამაზი იყო 56-ე წუთზე ცაავას მიერ გატანილი გოლი. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯერ ორი მცველი მოატყუა, მერე კი ისე ძლიერად და ზუსტად დაარტყა, რომ ჩისტოვი მართლაც ვერაფერს გააწყობდა - 3:0.

საინტერესოა ისიც, რომ შენგელიასა და ჯოხაძის ნაცვლად მინდორზე გამოსული ბარათაშვილი და გურული ხელად ჩაერთვნენ თამაშში. სხვათა შორის, ამ ორივე ფეხბურთელმა ლუჟნიკში მოსკოვის ნაკრებთან სასპარტაკიადო მატჩში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე.

81-ე და 84-ე წუთებზე გურულსა და კერესელიძეს ანგარიშის გაზრდის ძალზე კარგი შესაძლებლობა მიეცათ - პირველ შემთხვევაში ისევ სტუმართა მეკარემ გამოიჩინა თავი, მეორედ ძელს მოხვდა ძლიერად დარტყმული ბურთი.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 7 აგვისტო, 1983 წ.